დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არაეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**(ი) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
შენობა-ნაგებობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5-10
საკონდიტროს აღჭურვილობა	5-10
მაღაზიების აღჭურვილობა	3-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა	4-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალი უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) იჯარა (გაგრძელება)

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მემკვიდრე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მემკვიდრე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას, როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

(მ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენახე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

(ნ) წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

(ო) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

კომპანიას როდესაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია ინვესტირებულ საწარმოზე აღრიცხავს როგორც მეკავშირე საწარმო. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებულ საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, შემენის თარიღის შემდგომ პერიოდში კომპანიის წილით მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება მცირდება აგრეთვე მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდით ან სხვა სახის განაწილებული თანხების ამოღებით. ინვესტიციის ღირებულება მეკავშირე საწარმოში თავისი არსით მოიცავს გუდვილსაც და ინდივიდუალურად გაუფასურებაზე არ იტესტება. მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საანგარიშგებო პერიოდი მსგავსია კომპანიის საანგარიშგებო პერიოდის. წილობრივი მეთოდის გამოყენების შემდეგ, კომპანია განსაზღვრავს აუცილებელია თუ არა გაუფასურების ზარალის აღრიცხვა აღნიშნულ ინვესტიციაზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ინვესტიცია გაუფასურდა. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულებები ინვესტიციის გაუფასურებისა, კომპანია გაუფასურებას ანგარიშობს როგორც სხვაობას, ინვესტიციის ანაზღაურებად ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის.

(ა) საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ რეალური ღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება აღრიცხება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა შემოსავლი/სხვა ხარჯების“ მუხლში.

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელმწიფოებრივ შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანებების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „მინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებულ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები- ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ს) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ტ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(უ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- ▶ გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- ▶ კანონმდებლობიდან; ან
- ▶ სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**(უ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

- ▶ წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- ▶ შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ფ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია ბასსს-ის მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მოქმედი ვერსიის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება. ეს ვერსია გამოყენებულ იქნა 2021 წლის 1 იანვრის საწყისი ფასს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და მის შემდგომ პერიოდებში პირველი ფასს-ის ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პრინციპებით (მსს ფასს). შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღით. წინამდებარე შენიშვნაში ასახულია ფასს-ზე გადასვლის ეფექტი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	9,281,287	630,935	9,912,222
აქტივის გამოყენების უფლება	-	26,607,504	26,607,504
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,158,294	(114,395)	2,043,899
გაცემული ავანსები	916,224	(47,233)	868,991
წინასწარ გადახდილი გადასახადები	574,438	(410,251)	164,187
ფული და ფულის ეკვივალენტები	554,914	114,396	669,310
საიჯარო ვალდებულებები	-	(26,560,270)	(26,560,270)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(18,130,567)	50	(18,130,517)
მიღებული ავანსები	(2,738)	(53)	(2,791)
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(2,987,978)	(220,683)	(3,208,661)

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის. ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა. ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შემენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგომ პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შემენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული. ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელი საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში. ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზანია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა. ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასება ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემოდგომა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ. ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს

და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

რეალური ღირებულების განსაზღვრა და შეფასების პროცესი

წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები შეფასებულია რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მონაცემები წარმოადგენს არადაკვირვებად მონაცემებს და შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში,

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. ამონაგები

ამონაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	215,107,998	134,434,707
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან და პროდუქციის წარდგენის საფასურისგან	22,337,546	13,615,766
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	6,738,868	4,521,527
სულ ამონაგები	244,184,412	152,572,000

ამონაგები აღიარების ვადების მიხედვით	2022	2021
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	215,107,998	134,434,707
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	29,076,414	18,137,293
სულ ამონაგები	244,184,412	152,572,000

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე. სარეკლამო საქმიანობიდან შემოსავალი აღიარდება ყოველი თვის ბოლოს გაყიდულ საქონელზე წინასწარ შეთანხმებული განაკვეთის (%) გამოყენებით.

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	194,940,438	120,386,503
შრომის ანაზღაურება	994,291	199,593
ცვეთა და ამორტიზაცია	98,715	29,033
სულ თვითღირებულება	196,033,444	120,615,129

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	16,635,788	9,491,285
ცვეთა და ამორტიზაცია	8,047,741	6,756,138
კომუნალური მომსახურების ხარჯი	4,703,850	3,551,395
იჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი	2,255,598	1,654,530
სივრცით ან არარსებული ხელშეკრულებით		
საქონლის დანაკლისების ჩამოწერა, ნეტო	1,744,297	898,214
სამეურნეო ხარჯი	1,324,223	786,969
სუბ ფრანჩაიზინგის მომსახურება	1,069,886	802,576
ბანკის საკომისიო	866,622	538,434
რემონტის ხარჯი	715,550	409,748
საგადასახადო ხარჯი	292,580	332,198
შესაფუთი მასალების ხარჯი	476,276	345,415
უსაფრთხოების ხარჯი	291,538	236,616
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	288,198	136,710
საკონსულტაციო ხარჯი	203,393	82,973
კომუნიკაციის ხარჯები	153,898	121,932
საექვო მოთხოვნების ხარჯი/(აღდგენა)	(65,637)	77,174
საქონლის ჩამოფასების ხარჯი	-	57,470
სხვა ხარჯები	858,442	344,216
სულ საოპერაციო ხარჯები	39,862,243	26,623,993

* 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიამ გასწია 31 ათასი ლარის ოდენობით აუდიტორული მომსახურების ხარჯი (2021: 33 ათასი ლარი).

10. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

არასაოპერაციო შემოსავალი	2022	2021
მოგება ინვესტიციის გაყიდვიდან	2,487,770	-
სხვა შემოსავალი	326,066	94,245
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	2,813,836	94,245

არასაოპერაციო ხარჯი	2022	2021
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	17,956	178,216
დაკავშირებული მხარისთვის უსასყიდლოდ მიწოდება	-	620,433
სხვა ხარჯები	156,597	29,006
სულ არასაოპერაციო ხარჯი	174,553	827,655

11. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2022 და 2021 წლებში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი და შესაბამისად აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2022 წელს 743,034 ლარი და 2021 წელს 148,421 ლარი.

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მაღაზიების აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მიწა და შენობა- ნაგებობები	საოფისე და სხვა აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საკონდიტორის აღჭურვილობა	სხვა	სულ
1-ლი იანვარი, 2021	9,386,966	1,396,732	-	464,837	338,967	295,769	1,146,576	13,029,847
ზრდა	3,068,132	1,400,473	162,859	343,120	444,912	60,538	572,538	6,052,572
გასვლა	(922,674)	(219,423)	-	(35,251)	(127,584)	(149,624)	(33,046)	(1,487,602)
31 დეკემბერი, 2021	11,532,424	2,577,782	162,859	772,706	656,295	206,683	1,686,068	17,594,817
ზრდა	5,109,177	1,785,541	839,399	542,395	542,623	665,096	169,907	9,654,138
გასვლა	(329,410)	(107,845)	(745,500)	(21,392)	(36,784)	(4,788)	(443,683)	(1,689,402)
31 დეკემბერი, 2022	16,312,191	4,255,478	256,758	1,293,709	1,162,134	866,991	1,412,292	25,559,553
დაგროვილი ცვეთა								
1-ლი იანვარი, 2021	2,272,824	139,275	-	152,075	74,733	74,123	404,595	3,117,625
ცვეთის ხარჯი	1,692,828	352,603	-	104,110	73,663	36,969	217,607	2,477,780
გასვლა	(302,884)	(39,038)	-	(38,184)	(46,268)	(51,200)	(17,706)	(495,280)
31 დეკემბერი, 2021	3,662,768	452,840	-	218,001	102,128	59,892	604,496	5,100,125
ცვეთის ხარჯი	2,376,733	736,943	8,143	152,677	100,348	107,054	153,868	3,635,766
გასვლა	(158,858)	(25,040)	-	(16,045)	(17,464)	(1,043)	(117,316)	(335,766)
31 დეკემბერი, 2022	5,880,643	1,164,743	8,143	354,633	185,012	165,903	641,048	8,400,125
საბალანსო ღირებულება								
1-ლი იანვარი, 2021	7,114,142	1,257,457	-	312,762	264,234	221,646	741,981	9,912,222
31 დეკემბერი, 2021	7,869,656	2,124,942	162,859	554,705	554,167	146,791	1,081,572	12,494,692
31 დეკემბერი, 2022	10,431,548	3,090,735	248,615	939,076	977,122	701,088	771,244	17,159,428

2022 წლის 31 დეკემბრით, 2021 წლის 31 დეკემბრით და 2021 წლის 1-ლი იანვრით არსებული კომპანიის სრული ძირითადი საშუალებები წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფას. 2022 და 2021 წლებში სრულად გაცვეთილმა ძირითადმა საშუალებებმა ჯამში შეადგინა 951,163 ლარი და 21,820 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით; (2020: 0 ლარი).

13. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს 2021 წლის აპრილში შეძენელ მიწას რომლის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,545,123 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,683,108 ლარს).

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხვას რეალური ღირებულების მოდელის გამოყენებით. საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებელი, საბაზრო მიდგომის გამოყენებით, თითოეული ქონების საუკეთესო გამოყენების ანალიზის საფუძველზე, ყოველი წლის ბოლოს.

14. აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანია იჯარით იღებს ტერიტორიას საქართველოს მასშტაბით მაღაზიების ქსელის ოპერირებისთვის. ხელშეკრულების მიხედვით, იჯარები 5-10 წლამდე პერიოდით გრძელდება. საიჯარო გადახდები დადგენილია საიჯარო ხელშეკრულებებში და არის ფიქსირებული. საიჯარო ვადები და აქტივები გამოყენების უფლებით სასარგებლო მომსახურების ვადები 5-დან 10-წლამდე მერყეობს. იჯარებისთვის მინიმალური საიჯარო გადახდების დისკონტირებისათვის გამოყენებული განაკვეთი წარმოადგენს კომპანიის მზარდ სასესხო განაკვეთს, რომელიც 2%-დან 10%-მდე მერყეობს.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე და აღრიცხავს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას წარმოდგენილია ქვემოთ:

	კომერციული ფართი	ჯამი
საბალანსო ღირებულება		
1-ლი იანვარი 2021	-	-
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	26,607,504	26,607,504
1-ლი იანვარი 2021	26,607,504	26,607,504
დამატება	7,051,148	7,051,148
31 დეკემბერი 2021	33,658,652	33,658,652
დამატება	6,794,488	6,794,488
მოდიფიკაცია	1,374,073	1,374,073
გასვლა	(152,023)	(152,023)
31 დეკემბერი 2022	41,675,190	41,675,190
დაგროვილი ცვეთა		
1-ლი იანვარი 2021	-	-
ცვეთის ხარჯი	4,307,391	4,307,391
31 დეკემბერი 2021	4,307,391	4,307,391
ცვეთის ხარჯი	4,510,690	4,510,690
გასვლა	(152,023)	(152,023)
31 დეკემბერი 2022	8,666,058	8,666,058
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1-ლი იანვარი 2021	26,607,504	26,607,504
31 დეკემბერი 2021	29,351,261	29,351,261
31 დეკემბერი 2022	33,009,132	33,009,132

კომპანია ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას კომპანია ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნე-

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. აქტივი გამოყენების უფლებით (გაგრძელება)

ლი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში. იჯარის იძულებითი აღსრულების პერიოდის განსაზღვრისას, კომპანია ასევე ითვალისწინებს საიჯარო კეთილმოწყობების მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის შეცვლის ხარჯს და ა.შ.

ყველა იჯარა არის გაუქმებადი მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულებების დაფარვის ვადის დადგომამდე. კომპანიამ გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ იჯარის ვადა უტოლდება პერიოდს სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე.

15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში და ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
შპს გვირილა რითეილი	6,703,289	-	-
შპს წისკვილი ბაზარი	175,000	175,000	-
სულ ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	6,878,289	175,000	-

კომპანიას ჰყავს 2 მეკავშირე საწარმო: 1. შპს გვირილა რითეილი - მარკეტების ქსელი „გვირილა“ ახალი ბრენდის საქართველოს ბაზარზე, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ფასისა და ფართო ასორტიმენტის პროდუქციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამჟამად კომპანია არის განვითარებადი. 2022 წლის განმავლობაში საწარმოში ინვესტირებული თანხა შეადგენს 8,344,680 ლარს.

2. შპს წისკვილი ბაზარი - ეს წისკვილი ჯგუფის პირველი ნაბიჯია რითეილის სფეროში. ბაზრის ტერიტორია არის მრავალფუნქციური და გასაყიდი პროდუქტების დახლების გარდა, სთავაზობს კვების ობიექტების ფართო არჩევანს.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აღრიცხავს კაპიტალის მეთოდით.

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შპს გვირილა რითეილი	შპს წისკვილი ბაზარი
აქტივები	19,305,572	1,635,390
ვალდებულებები	(6,053,106)	(1,493,392)
წმინდა აქტივები	13,252,466	141,998
წილი საწარმოში	60.00%	25.00%
შემოსავალი	4,324,144	6,175,112
ხარჯები	(7,059,796)	(5,935,370)
მოგება / (ზარალი)	(2,735,652)	239,742
<i>წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში</i>	<i>(1,641,391)</i>	<i>59,936</i>

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს წისკვილი ბაზარი	მთლიანი აქტივები	მთლიანი ვალდებულებები	შემოსავალი	ზარალი	წილი საწარმოში
2021 წელი	1,328,748	827,514	1,957,706	(198,766)	25%

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში კლასიფიცირებულია „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანია ფლობს 5% წილს სს დელივერი-ში, რომლის რეალური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200,338 ლარს.

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
საკვები	9,745,506	6,853,833	5,684,509
არასაკვები	5,490,971	3,684,841	2,872,574
სასმელები	5,305,864	3,869,103	2,956,937
სულ	20,542,341	14,407,777	11,514,020

სასაქონლო მატერიალური მარაგები არაა დატვირთული გირავნობით მესამე პირის სასარგებლოდ.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	14,080,908	5,568,988	2,035,946
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	302	7,953
სულ სავაჭრო მოთხოვნები	14,080,908	5,569,290	2,043,899
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(11,537)	(77,174)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,069,371	5,492,116	2,043,899

საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

	2022	2021	2020
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	77,174	-	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი(აღდგენა)	(65,637)	77,174	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,537	77,174	-

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფულადი სახსრები ბანკში (ლარში დენომინირებული)	2,172,563	163,772	155,202
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	675,721	525,621	399,712
ფულადი სახსრები გზაში	160,455	264,851	114,396
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,008,739	954,244	669,310

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო.

19. სესხები

	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
საბანკო სესხები ცვალეზადი პროცენტით	ქართული ლარი	8,957,876	3,309,462	902,039
სულ გრძელვადიანი სესხები		8,957,876	3,309,462	902,039
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	ქართული ლარი	2,085,228	537,523	-
მოკლევადიანი სესხი	ქართული ლარი	-	1,800,000	2,299,061
სულ მოკლევადიანი სესხები		2,085,228	2,337,523	2,299,061
სულ სესხები		11,043,104	5,646,985	3,201,100

სესხის პროცენტი 2022 და 2021 წლებში მერყეობდა 14.5% დან 15.5%-ს შორის ხოლო 2020 წელს 13% დან 13.5%-ს შორის.

ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას:

	2022	2021
საწყისი ნაშთი	5,646,985	3,201,100
სესხის აღება	38,675,000	7,467,000
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	1,121,310	603,968
გადახდილი პროცენტი	(1,121,310)	(603,968)
გადახდილი ძირი	(33,278,881)	(5,021,115)
საბოლოო ნაშთი	11,043,104	5,646,985

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებში შემავალი შენობები, საინვესტიციო ქონება, მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხის უზრუნველყოფას.

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	3,263,631	3,702,986	3,159,419
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	30,551,310	26,393,622	23,400,851
სულ საიჯარო ვალდებულება	33,814,941	30,096,608	26,560,270

	2022	2021
თავდაპირველი აღიარებისას	30,096,608	26,560,270
დამატება	6,794,488	7,020,830
მოდifikasiკაცია	1,374,073	-
საპროცენტო ხარჯი	2,327,526	2,393,282
გადახდები წლის განმავლობაში	(5,393,259)	(4,720,154)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(1,384,495)	(1,157,620)
ნაშთი წლის ბოლოს	33,814,941	30,096,608

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	44,102,201	24,323,828	17,645,558
გადასახდელი ხელფასები	1,201,732	651,606	452,557
სხვა ვალდებულებები	127,673	69,681	32,402
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,431,606	25,045,115	18,130,517

22. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის, კომპანიას ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 24,169 ლარის ოდენობით (2021: 24,169 ლარი; 2020: 985,087 ლარი). საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან ისარგებლონ კომპანიაში მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დაგროვილი მოგება, შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დივიდენდების სახით გასანაწილებლად, რაც შეადგენს 4,210,526 ლარს (2021: 841,053).

23. ფინანსური რისკის მართვა

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვის რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,069,371	5,492,116	2,043,899
გაუფასურების გამოკლებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,008,739	954,244	669,310
სულ ფინანსური აქტივები	17,078,110	6,446,360	2,713,209
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,431,606	25,045,115	18,130,517
საიჯარო ვალდებულებები	33,814,941	30,096,608	26,560,270
სესხები	11,043,104	5,646,985	3,201,100
სულ ფინანსური ვალდებულებები	90,289,651	60,788,708	47,891,887

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- **დონე 2:** თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- **დონე 3:** არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება;

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს ფიქსირებული ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7.5%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 22%-დან 24%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ *საკრედიტო რისკს*. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივები	14,069,371	5,492,116	2,043,899
გაუფასურების გამოკლებით ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	2,333,018	428,623	269,598
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	16,402,389	5,920,739	2,313,497

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი ინდივიდუალური მიდგომით განიხილავს გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებს; მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში მე-17.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანია არ დგას სავალუტო რისკის წინაშე რადგან ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებული აქვს ადგილობრივ ვალუტაში გარდა საიჯარო ვალდებულებების.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2022	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,431,606	-	45,431,606
საიჯარო ვალდებულებები	3,263,631	30,551,310	33,814,941
სესხები	2,085,228	8,957,876	11,043,104
სულ	50,780,465	39,509,186	90,289,651

31 დეკემბერი, 2021	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,045,115	-	25,045,115
საიჯარო ვალდებულებები	3,702,986	26,393,622	30,096,608
სესხები	2,337,523	3,309,462	5,646,985
სულ	31,085,624	29,703,084	60,788,708

1 იანვარი, 2021	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,130,517	-	18,130,517
საიჯარო ვალდებულებები	3,159,419	23,400,851	26,560,270
სესხები	2,299,061	902,039	3,201,100
სულ	23,588,997	24,302,890	47,891,887

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი რესურსები.

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები. ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

31 დეკემბერი 2022				
მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მეკავშირე საწარმო	სხვა	
აქტივები				
აქტივი გამოყენების უფლებით	-	1,567,539	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,759,125	1,386,564	216,492
ვალდებულებები				
საიჯარო	-	766,717	-	-
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	24,465	81,585	74,962	163,766
ვალდებულებები				
31 დეკემბერი 2021				
მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მეკავშირე საწარმო	სხვა	
აქტივები				
აქტივი გამოყენების უფლებით	-	1,573,917	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2,472,234	-	-
წინასწარ გადახდილი ავანსები	-	200,744	-	-
ვალდებულებები				
საიჯარო	-	1,782,314	-	-
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	14,641	66,634	-	-
ვალდებულებები				
1 იანვარი 2021				
მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მეკავშირე საწარმო	სხვა	
აქტივები				
აქტივი გამოყენების უფლებით	-	2,032,105	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	113,725	-	-
წინასწარგადახდილი ავანსები	-	99,944	-	-
ვალდებულებები				
საიჯარო	-	2,029,605	-	-
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	-	25,514	-	-
ვალდებულებები				

შპს „დეილი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2022			
	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მეკავშირე საწარმო	სხვა
ამონაგები	-	340,134	2,496,196	1,157,503
თვითღირებულება	-	327,608	2,453,199	532,792
საოპერაციო ხარჯები	688,299	500,774	293,860	20,658
ფინანსური ხარჯი	-	195,513	-	-
არასაოპერაციო				
შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა	320	749,624	1,027	433

	2021			
	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მეკავშირე საწარმო	სხვა
ამონაგები	-	-	-	-
თვითღირებულება	-	-	-	-
საოპერაციო ხარჯები	-	288,514	-	-
ფინანსური ხარჯი	-	141,898	-	-
არასაოპერაციო				
შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა	-	620,433	-	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2022 წელს შეადგინა 491,306 ლარი (2021: 185,556 ლარი).

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2023 წლის 28 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომპანიამ გახსნა 25 ახალი მაღაზია;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ სესხის საკრედიტო ხაზის საფუძველზე აიღო 6.4 მლნ ლარის თანხები (საპროცენტო განაკვეთი - რეფინანსირებას +4.25%). ათვისებული თანხების ძირითადი დანიშნულება იყო საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება;
- 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანია აღარ წარმოადგენს ფუდმარტის ფრენჩაიზერს.
- 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომპანიამ შეიძინა დაახლოებით 5.47 მლნ-ის ძირითადი საშუალებები.
- 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ განახორციელა დამატებითი ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, კერძოდ: 6.5 მლნ შპს გვირილა რითეილში და 105 ათასი შპს წისქვილი ბაზარში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს დეილი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები	42
1.1. ზოგადი ინფორმაცია	42
1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი	42
1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	42
1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები	43
1.5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	43
2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	43
2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი	43
2.2. საკანონმდებლო რისკი	43
2.3. საოპერაციო რისკი	43
2.4. საკრედიტო რისკები	43
2.5. ლიკვიდურობის რისკები	44
2.6. საბაზრო რისკები	44

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დეილი“ დაარსდა 2013 წელს, თავდაპირველად „პრაიმ მარკეტ გრუპის“ სახელით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წელს კომპანიას სახელი გადაერქვა და ფუნქციონირებს დეილის სახელით. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: N2 ახმეტ მელაშვილი, თბილისი, საქართველო. კომპანია 2022 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 158 მაღაზიით რომლებიდანაც 1 მდებარეობს თბილისში, 10 გურიაში, 27 აჭარაში, 77 იმერეთში, 21 ქართლში, 5 რაჭა-ლეჩხუმში და 17 სამეგრელოში.

2022 წლის ბოლოს ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულია 1800-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია „დეილი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს დასავლეთ საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე. კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას ახალი და უსაფრთხო პროდუქციის დაბალ ფასად შეთავაზების გზით.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა ბოლო წლებში. მაღაზიების რაოდენობა 2020-ის ბოლოს 102, 2021 წლის ბოლოს 116 და უკვე 2022 წლის ბოლოს 158.

მაღაზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე კომპანიის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები:

ძირითადი საშუალებები 2020 – 9,912,222

ძირითადი საშუალებები 2021 – 12 494 692

ძირითადი საშუალებები 2022 – 17 159 428


შემოსავლები 2020 – 102 589 268

შემოსავლები 2021 – 134,434,707

შემოსავლები 2022 - 215 107 998

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მაღაზიების რაოდენობის, ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. აღნიშნულის გამო 2022 წელს წინა წლებთან შედარებით კომპანიამ გაზარდა საოპერაციო მოგების თანხა და მარჯის კუთხითაც ეფექტურობა შეინარჩუნა.



1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან „დეილის“ ძირითად საქმიანობას საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარება და მართვა წარმოადგენს. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ყოველდღიური საჭიროების პროდუქტების, და გამომცხვარი პროდუქტის საუკეთესო ფასად შეთავაზება მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს. აღნიშნული სიახლოვე და შეთავაზებული ასორტიმენტი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

კომპანია აქტიურად აგრძელებს საცალო ქსელის განვითარებას იმერეთში და სამეგრელოში. ასევე იგეგმება ქსელის გაფართოვება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. 2022 წელს შედარებით აქტიურად დავამატეთ სავაჭრო ობიექტები სამეგრელოს და ქართლის რეგიონში. მსოფლიო ტრენდებიდან და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს.

1.5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ გამოუშვია და არც შეუძენია საკუთარი აქციები მიმდინარე სააღრიცხვო წელს.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანია მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა : ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი ფინანსური დირექტორის, დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრების მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმ გვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს „დეილიც“ დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება ტოპ მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. კომპანია ძირითადად საცალო ვაჭრობით არის დაკავებული, შესაბამისად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მითიგირებულია.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2020 და 2021 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას სასესხო ვალდებულებები ლარშია, შესაბამისად სავალუტო რისკი მინიმუმიზირებულია.

გიორგი ტურძელაძე
დირექტორი

28 ივლისი 2023

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2020 და 2021 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას სასესხო ვალდებულებები ლარშია, შესაბამისად სავალუტო რისკი მინიმუმიზირებულია.

გიორგი ტურმელაძე

დირექტორი

28 ივლისი 2023

